

### ტესტის სახელწოდება:

სისხლის ჯგუფი და რეზუსი

### ტესტის ალტერნატიული დასახელება:

ალტერნატიული დასახელება არ გააჩნია.

### რას იკვლევს მოცემული ტესტი:

მოცემული ტესტი ადგენს სისხლის ჯგუფს და რეზუსს.

ადამიანის სისხლის ჯგუფს ერითროციტების ზედაპირზე არსებული ანტიგენები განსაზღვრავს. ეს ანტიგენებია A და B. როდესაც მხოლოდ A ანტიგენია ზედაპირზე, სისხლი A ჯგუფისაა, თუ მხოლოდ B ანტიგენია – B ჯგუფის. თუ ერითროციტების ზედაპირზე ორივე – A და B – ანტიგენია, ადამიანს AB ჯგუფის სისხლი აქვს, ხოლო თუ არცერთი ანტიგენი არ არის ერითროციტებზე, მაშინ სისხლი O ჯგუფისაა.

A და B ანტიგენების გარდა, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ანტიგენი - Rh (რეზუს ფაქტორი ანუ რეზუსი). თუ ერითროციტებს Rh ანტიგენი აქვთ, მაშინ სისხლი რეზუს დადებითია, სხვა შემთხვევაში - რეზუს უარყოფითი.

ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში მოცემულია ანტიგენები, მათი სხვადასხვა კომბინაცია და სისხლის შესაბამისი ჯგუფები:

ABO ანტიგენები და Rh ტიპი	სისხლის ჯგუფი
A ანტიგენი – არ არის, B ანტიგენი – არ არის; Rh ფაქტორი - არის	O დადებითი
A ანტიგენი – არ არის, B ანტიგენი – არ არის; Rh ფაქტორი- არ არის	O უარყოფითი
A ანტიგენი - არის, B ანტიგენი – არ არის; Rh ფაქტორი - არის	A დადებითი
A ანტიგენი - არის, B ანტიგენი – არ არის; Rh ფაქტორი – არ არის	A უარყოფითი
A ანტიგენი – არ არის, B ანტიგენი – არის; Rh ფაქტორი - არის	B დადებითი
A ანტიგენი – არ არის, B ანტიგენი – არის; Rh ფაქტორი – არ არის	B უარყოფითი
A ანტიგენი – არის, B ანტიგენი – არის; Rh ფაქტორი - არის	AB დადებითი
A ანტიგენი – არის, B ანტიგენი – არის; Rh ფაქტორი – არ არის	AB უარყოფითი

ადამიანებს საკუთარი ერითროციტების ანტიგენების წინააღმდეგ ანტისხეულები არ აქვთ. მაგალითად, თუ პიროვნებას B დადებითი სისხლის ჯგუფი აქვს (ანუ მის ერითროციტებზე არის B ანტიგენი და Rh ფაქტორი), მაშინ ამ ადამიანს B ანტიგენისა და Rh ფაქტორის წინააღმდეგ ანტისხეულები არ ექნება. მაგრამ A ანტიგენის შემთხვევაში განსხვავებული ვითარება იქნება – ეს პიროვნება ვერ გადაისხამს A ან AB ჯგუფის სისხლს, რადგან ორივე ამ ჯგუფში არის A ანტიგენი, რომლის წინააღმდეგაც მის ორგანიზმში ანტისხეულები გამომუშავდება.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში A და AB ჯგუფის სისხლი შეუთავსებელია B დადებითი სისხლის მქონე ადამიანისთვის. შეუთავსებელი სისხლის გადასხმა შესაძლოა სიკვდილით დასრულდეს, ამიტომ აუცილებელია სისხლის ტრანსფუზიამდე როგორც დონორის (სისხლის გამცემი), ასევე რეციპიენტის (სისხლის მიმღები) ჯგუფის და რეზუსის დადგენა. რეზუსის დადგენა ასევე აუცილებელია ფეხმძიმე ქალებში. თუ ორსული რეზუს უარყოფითია, ხოლო ნაყოფი რეზუს დადებითი, დედის ორგანიზმი იწყებს რეზუს ფაქტორის წინააღმდეგ ანტისხეულების გამომუშავებას. ამ ანტისხეულებს შეუძლიათ გადალახონ პლაცენტის ბარიერი და ნაყოფის ერითროციტები გაანადგურონ. ამის თავიდან ასაცილებლად, დედასა და ნაყოფს შორის რეზუს შეუთავსებლობა ადრევე უნდა გამოვლინდეს და ორსულს მკურნალობა უნდა დაენიშნოს.

#### **რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:**

ეს ანალიზი კეთდება მაშინ, როდესაც საჭიროა სისხლის ტრანსფუზია და იგი უტარდებათ როგორც დონორებს, ასევე რეციპიენტებს. ტესტი ასევე ინიშნება ორსულსა და ნაყოფს შორის რეზუს შეუთავსებლობის გამოსავლენად.

#### **როგორ კეთდება ეს ტესტი:**

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

#### **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:**

ამ ანალიზისთვის სპეციალური მომზადება საჭირო არ არის.

#### **შედეგების ინტერპრეტაცია:**

ტესტის შედეგების მიხედვით დგინდება სისხლის ჯგუფი (O, A, B ან AB) და რეზუსი (დადებითი ან უარყოფითი). ეს კი, თავის მხრივ, იმის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, თუ რომელი ჯგუფის სისხლის გადასხმა იქნება კონკრეტული ადამიანისთვის უსაფრთხო. ტესტით ასევე ხდება იმის გარკვევა, არის თუ არა რეზუს შეუთავსებლობა ორსულსა და ნაყოფს შორის და შესაბამისად, საჭიროა თუ არა მკურნალობის დაწყება.